ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №563469

ნომერი: AR1108661

თარიღი : 25.02.2013

გაცემის თარიღი : 27.02.2013

გაცნობის თარიღი : 05.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ჩოჩოშვილი პ/ნ 01022004803
- თბილისი თემქა IX კვ. კორ. ბ ბ. 18

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ს.ს."ბაზისბანკი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203841833
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გოჩა ჩოჩოშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01022004803

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით გოქაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N 1–ში სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხი უნდა წარედგინოს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს განსახილველად. საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:
1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილში: არ არის წარმოდგენილი არსებული და საპროექტო ფასადი შენობის სახურავზე სარეკლამო აბრის ჩვენებით (წარმოდგენილია გეგმები, რომელიც არ ეხება საპროექტო სამუშაოებს);
2. არ არის წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი;
3. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული ნაწილი / ან საინჟინრო–ტექნიკური დასკვნა (ნახაზების ჩვენებით) უძრავი ძეგლის მდგრადობის და უსაფრთხოების შესახებ, შენობის სახურავზე სარეკლამო აბრის მოწყობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 15 დღის ვადაში დაგევალოთ ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორება, რის შემდეგაც სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს მოთხოვნაზე. დადგენილ ვადაში მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.